



# მენორა

გამოდის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

## מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

მარტი  
ნისანი  
№3 (439)  
(5778)  
2018

“מנורה”  
עיתון יהודי  
בגוריה

### საქართველოს ებრაელთა გაზეთმა „მენორა“ ეპითხედი საუკუნის გზა განვლო

#### ვულოცავ გაზეთს „მენორა“ 25 წლის იუბილეს!



მნიშვნელოვანია, რომ თქვენი გაზეთი 25 წლის განმავლობაში, ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებას და კულტურათა შორის კომუნიკაციის განვითარების ხელშეწყობას ემსახურება.

საუკუნეების განმავლობაში, სანიშნო და მშვიდობიანი თანაარსებობის პერიოდში, ებრაელები ქართველების მხარდამხარე უნდობლდნენ საქართველოს აღმშენებლობისთვის, ქმნიდნენ საქართველოს ისტორიას და ქართულ კულტურას. საქართველოდან ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებული ქართველი ებრაელების შთაბრძნავლები კი, სათუთად ინახავენ ქართულ ენას და ტრადიციებს, რადგან საკუთარი იდენტობის ნაწილად მიიჩნევენ.

კიდევ ერთხელ ვულოცავ იუბილეს თქვენს გაზეთს და „მენორას“ თითოეულ თანამშრომელს წარმატებულ საქმიანობას ვუსურვებ!

საქართველოს პრეზიდენტი ბიორგი მარგველაშვილი



საქართველოს  
პრეზიდენტი-მინისტრი



გულწრფელად ვულოცავ გაზეთ „მენორას“ რედაქციას და მის ჟურნალისტებს გაზეთის დაარსებიდან 25 წლისთავს.

ჩვენთვის ძვირფასია ყველა თარიღი და მოვლენა, რომელიც საქართველოში მცხოვრები ებრაელების ცხოვრებასა და საქმიანობას ეხება.

ჩვენს ორ ერს - ქართველებსა და ებრაელებს პატივისცემასა და ნდობაზე დამყარებული მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა გვაკავშირებს, რასაც ძალიან ვაფასებთ და ვუფრთხილდებით. მისასალმებელია, რომ გაზეთი „მენორა“, სხვა მრავალ თემატიკასთან ერთად, ამ დიდ საქმეს - ქართველებისა და ებრაელების მეგობრობას ემსახურება და თავის სიტყვას ამბობს საქართველო-ისრაელის ურთიერთობის განმტკიცებისთვის.

წარმატებებს ვუსურვებ მთელ სარედაქციო კოლექტივს და იმედი მაქვს, რომ გაზეთს არც მომავალში მოაკლდება მკითხველი როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

გიორგი კვირიკაშვილი

„მენორამ“ ჟამთა სიავის წყვილიდან გამოაღწია და დღეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ქართველი ებრაელების საკითხავი გაზეთი გახლავთ. ამ გაზეთს არ დაჰკლებია არც საერთაშორისო ებრაული ორგანიზაციების და არც — საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების ყურადღება — საიუბილეო თარიღებს ულოცავდნენ სახელმწიფოს პირველი პირები: ედუარდ შევარდნაძე, მიხეილ სააკაშვილი, ბიძინა ივანიშვილი, გამომჩენილი ქართველი, თუ ქართველი ებრაელი მეცნიერები, ხელოვანნი.

რამ განაპირობა საქართველოში ებრაული თემატიკის გაზეთის დაბადების აუცილებლობა, რამ განაპირობა ის, რომ განვლილი საუკუნის მეოთხედის განმავლობაში, გაზეთის ერთი ნომერიც არ „ჩავარდნილა“ და გამოდის შეუფერხებლად? მკითხველის საერთო პატივისცემამ და ყურადღებამ, რედაქციის სერიოზულმა დამოკიდებულებამ თავისი მოვალეობისადმი. მას თითქოს თან სდევდა და სირთულეთა გადალახვის ძალას აძლევდა ნარსულის აჩრდილი: დავით ბააზოვის მიერ დაარსებულმა გაზეთმა „მაკაველი“ ძალიან ცოტა ხანი იცოცხლა, ხოლო სიონისტური სულისკვეთების ქუთაისში გამომავალი გაზეთი „ებრაელის ხმა“ ხელისუფლებამ მალე აკრძალა.

დ-რი მიხეილ (მისო) მირილაშვილი

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი, მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი





WORLD JEWISH CONGRESS

RONALD S. LAUDER  
PRESIDENT

ROBERT SINGER  
CHIEF EXECUTIVE OFFICER

Mr. Guram Batiashvili  
President  
Jewish Community of Georgia  
February 5, 2018

Dear Guram,

It is with great pleasure that we congratulate you on your 80<sup>th</sup> birthday. Mazel tov!

On behalf of all World Jewish Congress affiliated communities and organizations, and our global staff, we extend our deep and sincere appreciation for the outstanding and effective leadership you have provided the Jewish Community of Georgia throughout your tenure. Your dedication and commitment to the World Jewish Congress and Euro-Asian Jewish Congress over the years has been felt in corners around the globe.

Further, your prolific writing career—from your many books, plays, and novels to your service as Editor in Chief of *Menorah*—has added to the rich fabric of Jewish literature.

There is no doubt that your devotion to the Jewish people has left an indelible mark in our history, and we trust that your presence will be felt for many years to come.

Ad Me'ah Ve-essrim Shana!

Wishing you a very happy birthday,

Sincerely yours,

*Ronald S. Lauder*

*Robert Singer*

501 MADISON AVENUE - NEW YORK, NY 10022 - TEL. +1 212 755 57 70 - FAX +1 212 755 56 83  
RUE DE STASSART 84 - B-1050 BRUSSELS - TEL. +32 1012 552 09 00 - FAX +32 1012 552 09 11  
protocol@wjc.eu

შემართებულ წინსვლას გისურვებთ

ქართველ და ებრაელ ხალხს უფალმა ერთად თანაცხოვრება არგუნა ბედად. ასეა - 26 საუკუნეა, რაც ებრაელობა საქართველოშია, ერთად შრომასა და ბრძოლაში. ებრაელობამ იმთავითვე გაიზიარა ქართველთა ბედი და ერთ უღელში შებმულებმა გასწიეს ცხოვრების წაპანი. საქართველოს არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ებრაელებთან დაკავშირებული. ამ უკანასკნელთა ცხოვრებამ, აქტიურმა საქმიანობამ, თავისი კვალი დაამჩნია საქართველოს კუთხეებში (ებრაელებით რომ იყო დასახლებული). ელიოზ მცხეთელის, მისი დის - სიდონიასა და ლონგინოზ კარსნელის სახელები სამუდამოდ ჩაიწერა ჩვენს ისტორიაში. ნიშანდობლივია, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მისია საქართველოს ისტორიაში, მისია მეფე თამარის საქმროს - გიორგი (იური) ანდრიას ძის ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოყვანისა, ებრაელმა დიდგვარამა ზანქანზორაბაბელმა შეასრულა. მაგალითების მოტანა ბევრის შეიძლება. რამდენიმე წლის წინათ აღინიშნა ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის 2600 წლისთავი და ერთხელ კიდევ გავსჯა ხაზი ამ ორი ხალხის კეთილი ურთიერთობის ისტორიას.



ეს პატარა წილსვლა იმისთვის მოვიხმე, რომ ხაზგასმით გვეთქვა - ქართულ-ებრაული მეგობრობის, ჩვენი ხალხების კეთილურთიერთობის ჭეშმარიტი ამსახველია საკმაოდ პოპულარული გაზეთი „მენორა“, რომელიც 25 წლისა შესრულდა. დიან, ოცდახუთი წლის მანძილზე, ეს მეტად საინტერესო გამოცემა თავისი პუბლიკაციებით, მრავალფეროვანი და მეტად საინტერესო სტატიებით, ლიტერატურული ნაწარმოებებით, ნარკვევებით იზიდავდა მკითხველს. ხაზგასმულია ისიც, რომ გაზეთი აქვეყნებდა ნარკვევებს, კრიტიკულ წერილებს სხვადასხვა საჭირობოროტო საკითხებზე; გვანდობდა მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე. გაზეთის ყურადღების ცენტრში იყო ყოველთვის მეცნიერებისა და კულტურის აქტუალური საკითხები. ერთი სიტყვით „მენორა“ სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდა და საზოგადოებას მადლიერი ჰყავდა.

როცა ოცდახუთწლოვანი გაზეთის ისტორიაზე ვსაუბრობთ, აღვნიშნავთ მის ბევრ კარგსა და საინტერესო მხარეს, კეთილად უნდა ვახსენოთ მისი შემოქმედნი - ჟურნალისტებისა და გაზეთის სხვა მუშაკების მთელი ჯგუფი, რომელთაც სათავეში უდგას და პრაქტიკულად „მენორას“ ნარმატების გარანტია გამოჩენილი ქართველი მწერალი, ლირსეული დრამატურგი და აქტიური საზოგადო მოღვაწე გურამ ბათიაშვილი.

ვულოცავ „მენორას“ და მის შემოქმედებით ჯგუფს ოცდახუთწლოვან იუბილეს და ვუსურვებ კვლავაც შემართებულ წინსვლას.

როინ მატრეველი  
აკადემიკოსი; საქართველო-ისრაელის მეგობრობის  
საზოგადოების თავმჯდომარე

რონალდ ლაუდარი  
პრეზიდენტი

რობერტ ზინგარი  
ალმასრულებელი დირექტორი

ბ-ნ გურამ ბათიაშვილს  
საქართველოს ებრაელთა თემი  
2018 წლის 5 თებერვალს.

ძვირფასო გურამ!

დიდი სიამოვნებით გილოცავთ დაბადების მე - 80 წელს. მაზალ ტოვ!  
მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის სახელით და ასევე მისი პარტნიორი თემებისა და ორგანიზაციების მსოფლიოში მიმოფანტული პერსონალის სახელით, გამოვხატავთ ჩვენს ღრმა და გულწრფელ აღიარებას იმ დიდებული და ფეფექტური ლიდერობისთვის საქართველოს ებრაული თემისა, რაც თქვენ გამოამჟღავნეთ მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის ვიცეპრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნისას. თქვენი ერთგულება და მიზანდასახულობა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესისა და ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის მიმართ, შეიგრძნობა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

თქვენი ნაყოფიერი სამწერლო კარიერა - თქვენი მრავალი წიგნიდან, პიესიდან და რომანიდან - „მენორას“ მთავარ რადაქტორობამდე-შეემატა მდიდარ ებრაულ ლიტერატურას.

ეჭვი არ არის რომ თქვენმა თავდადება ებრაელი ხალხის მიმართ, ნარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს ისტორიაში და დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი არსებობა კიდევ მრავალ წელს იქნება შესაგრძნობი.


ასოც წლამდე გისურვებთ ბედნიერ დაბადების დღეს!

რონალდ ლაუდარი; რობერტ ზინგარი

დიდ სიამოვნებას მანიჭებს მივულოცო გაზეთ „მენორას“ დაარსების 25 წლისთავი.

გაზეთისათვის ძნელია მეოთხედი საუკუნე იარსებოს მწირი ბიუჯეტით და მუდმივად ერთგული იყოს მკითხველისა — სისტემატურად გამოდიოდეს და ყოველთვის საინტერესო იყოს. „მენორამ“ ეს სიძნელები დაძლია.

როგორც აღმოსავლეთმცოდნისა და ისრაელის მეგობრისათვის, ჩემთვის საინტერესოა გაზეთის მთელი ტექსტი, რადგან მისი შემვრებით შემოიძლია გავიგო, თუ რა მნიშვნელოვანი მოვლენები ხდება ისრაელში, ებრაულ სამყაროში და ქართულ-ებრაულ ურთიერთობებში. გაზეთის ძალიან მცირერიცხოვანი რედაქცია ახერხებს მოგვანოდოს ყველაფერი ეს.



მინდა „მენორას“ ვუსურვო დღეგრძელობა და წარმატება!

მისი მკითხველი რედაქცია ბარჩილიაძე

საქართველოს საელჩოს ისრაელის სახელმწიფოში 2017 წელს წილად ხვდა ბედნიერება ქართველ და ებრაელ ხალხთან ერთად ეზეიმა დამოუკიდებელი საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოს დიპლომატიური ურთიერთობის 25 წლისთავი. ამ დიდებული თარიღისათვის მიძღვნილ ყველა ღონისძიებაზე საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები გულწრფელად აღვნიშნავდით, რომ ჩვენი ქვეყნების 25 წლის წარმატებული დიპლომატიური ურთიერთობა დგას ებრაელ და ქართველ ხალხთა 26 საუკუნოვან, უნიკალურად აღიარებულ, მეგობრულ თანაცხოვრებაზე. 25 წელიც მცირე და ადვილად გასავლელი პერიოდი არ არის, მეტადრე კატაკლიზმებით დამუხტულ თანამედროვე მსოფლიო ვითარებაში, მაგრამ ამ ორმა ბრძენმა ერმა მოახერხა ძველის დაუნგრევლად ერთმანეთისაკენ მიმავალი ახალი გზებისა და ხედების შენება. სწორედ ასეთი ხიდის ფუნქცია იკისრა და დღემდე წარმატებით ასრულებს საქართველოში დაბადებული და მოღვაწე ქართველი ებრაელი მწერლის, დრამატურგისა და პუბლიცისტის ბატონ გურამ ბათიაშვილის მიერ 1993 წლის მარტში დაარსებულმა დამოუკიდებელმა ებრაულმა გაზეთმა „მენორამ“. წელს, მარტში „მენორასაც“ 25 წელი უსრულდება. მანაც ქართველ ებრაელთა თემთან ერთად, სრულად გაიზიარა და, რაც მთავარია, ზედმინევიით ასახა ქართველ ებრაელთა ისრაელში ამოსვლისა და დაფუძნების ურთულესი პროცესი, დღესაც მის მაჯისცემას უსმენს და მისდევს. 25 წელი ებრაელი ერის ისტორიისთვის ბევრი არაა, მაგრამ ებრაული სახელმწიფოს შექმნის - მეოთხედი საუკუნის მომცველი პერიოდი. „მენორამ“ ღირსეულად გაუძლო ამ დროს და დღესაც ერთგულად ემსახურება თავიდან აღებულ გეზსა და დევიზს.



საქართველოს საელჩოს თანამშრომლები გულითადად ვულოცავთ გაზეთის დამფუძნებლებსა და გამოცემელებს, ბატონ ბათიაშვილსა და კოტე აბაშიძეს თავიანთი პირმშოს იუბილეს. გაზეთ „მენორას“ კი ვუსურვებთ, ქართველი და ებრაელი მკითხველი ნუ მოკლებოდეს მთელ მსოფლიოში.

საათა კალანდაძე  
საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელში

ქართულენოვანი ებრაულური სათემო გაზეთი „მენორა“ ობიექტურად იმ დიდი კულტურული მემკვიდრეობის გამგრძელებელია, რომელსაც საფუძველი დაუდეს ორივე ერის სულმანათმა განმანათლებლებმა. აქედან გამომდინარე „მენორა“ ერთნაირად მშობლიურია როგორც ებრაელებისათვის, ასევე მოძმე ქართველებისათვისაც. ეს შეიძლანთელა ლამაზი ხომ ამ ორი უძველესი ერის სასიცოცხლო მისწრაფების დამცველი და მაღალი ზნეობის გამტარებელია. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ამ მეტად ფასეული ებრაული პერიოდულ გამოცემას სათავეში უდგას ცნობილი მწერალი, დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე გურამ ბათიაშვილი. ის იმავ დროს „საქართველო - ისრაელის მეგობრობის საზოგადოების ვიცე პრეზიდენტი. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ „მენორას“ მიერ განვლილი ოცდახუთწლიანი გზაც, ისევე როგორც მისი რედაქტორისა, არ ყოფილა ია - ვარდებით მოფენილი. მან გაუძლო ფინანსურ შეჭირვებებსაც და უმადურობასაც... ვუსურვებთ „მენორას“ რედაქციას და მის ყველა ერთგულ მკითხველს მრავლაჟამიერს. ისრაელის სახელმწიფოს ამ ოფიციალურ სიმბოლოს - „მენორას“ არც ჩვენში უწერია ჩაქრობა. მან მომავალ თაობებს უნდა გაუნათოს გზა...



გურამ ლორთქიფანიძე  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისრაელის ცენტრის“ ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის ეროვნული აკადემიის წევრ-კონენაპონდენტი, პროფესორი



გაზეთ „მენორას“ რედაქტორს



თქვენი გაზეთის გამოსვლიდან 25-ე წლისთავთან დაკავშირებით, გთხოვთ მიიღოთ ჩვენგან გულითადი მილოცვა და საუკეთესო სურვილები. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ აქ საქმე გვაქვს მეტად შთამბეჭდავ შემოქმედებით გამარჯვებასთან, რადგან გვჯერა, რომ თავისი არსებობის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში "მენორამ" შეძლო გადაქცეულიყო საქართველოში ჩვენი თემის ცხოვრების 26 საუკუნოვანი ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენის, მამა-პაპათა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების ამსახველი ერთ-ერთი სარკე და მემკვიდრე. თქვენი ხელმძღვანელობით მთელი ამ 25 წლის მანძილზე "მენორა" გახდა ქართველი და ებრაელი ხალხების თანამეგობრობის მედროშე და მე-

ბაირახტრე. ჩვენს განსაკუთრებულ მოვალეობად ვთვლით, რომ განსაკუთრებული პატივისცემით მოვიხსენიოთ თქვენი გმირული ბრძოლა გაზეთის ფურცლებზე ამ თანამეგობრობისათვის რაიმე ზიანის მიყენების წინააღმდეგ. ამასთან თქვენ საშური რუდუნებით იმალეხებით ხმას „თქვენი ძმების“ (ქართველი ებრაელების) დასაცავად, იმ მავნე ექსცესებიდან, რომელთაც ადგილი ჰქონდათ სწორედ თქვენი გაზეთის არსებობის პერიოდში საქართველოში არსებული არასტაბილური პოლიტიკური ვითარების სავალალო პირობებში. გისურვებთ, ასეთივე ნელგამართული გველოთ თქვენს მომავალ მოღვაწეობაშიც.



ეზრაიმ გური - ისრაელის პარლამენტის ყოფილი წევრი დ-რი ლავით შიშილშვილი

საუკუნეების წიაღიდან ფესვდადებული „მენორა“ მეოთხედი საუკუნეა ანათებს

საქართველოში ქართულ ენაზე გამოცემული ებრაული გაზეთი „მენორა“ ოცდახუთი წლისა გახდა. უპირველეს ყოვლისა, მინდა მივულოცო გაზეთის ყველა იმ თანამშრომელს, რომლებიც ამ წლებში უფრო ხანგრძლივად თუ ნაკლები დროით თანამშრომლობდნენ მასში ამა თუ იმ სტატუსით, გაზეთის სპონსორებს, რომელთა წვლილიც უეჭველად დიდია. მინდა მივულოცო მთელ ჩვენს თემს, რომლის თანადგომის გარეშეც, რა თქმა უნდა, „მენორა“ ვერ იკაპტაშებდა და ვერ შეასრულებდა თავის დიდ მისიას. მინდა მივულოცო ქართველი ებრაელების ყველა მეგობარს საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ, რომლებიც გულშემოყვარებულად ჩვენს გაზეთს. მინდა მივულოცო სრულიად საქართველოს, რომელმაც „მენორას“ არსებობითა და ხელშეწყობით კიდევ ერთხელ აჩვენა ყველას თავისი ნამდვილი ტოლერანტობა და ქართულ-ებრაული საუკუნეობრივი მეგობრობის გულწრფელობა. და, რაც მთავარია, მინდა მოკრძალებითა და მადლობით მივულოცო „მენორას“ უცვლელ და ერთადერთ რედაქტორს, ცნობილ მწერალს, დრამატურგს, მთარგმნელს, პუბლიცისტს, ჟურნალისტსა და ნიშანდობლივ საზოგადო მოღვაწეს, გურამ ბათიაშვილს, რომლის ჭეშმარიტი თავდადების გარეშეც ეს გაზეთი, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, ვერ იარსებებდა და ვერ გასწევდა ესოდენ სახელოვნად ქართველი ებრაელების პირუთენელი მემკვიდრის ჭაპანს. შეიძლება ითქვას, ბატონი გურამი ორმაგი იუბილარია: როდენ გასაკვირიც უნდა იყოს მისი შემოქმედებითი ნაყოფიერების, საზოგადოებრივ საქითხებზე მუდმივი მზრუნველობის, დაუღალავი ენერჯის შემყურეთათვის, იგი სულ ცოტა ხნის წინ ოთხმოცი წლისა გახდა, რაც სათანადოდ აღნიშნა და დააფასა ქართულმა საზოგადოებრიობამ. და, აი, ახლა მისი პირმშოსა და მუდმივი ზრუნვის საგნის, „მენორას“ ოცდამეხუთე დაბადების დღესაც ვხეიძობთ.

ბატონო გურამ, დღეგრძელობა თქვენ და „მენორასაც“. „მენორას“ მისია ვახსენე. დიახ, ამ გაზეთს ჭეშმარიტი და დიდი მისია აქისრია: საქართველოს ებრაელთა ხმა და ნიშანდობლივი წარმოაჩინოს, ჩვენი თემის შემწე, სიხარულის გამზიარებელი და სიძნელეთა სალბუნი იყოს, ებრაულ სამყაროში მიმდინარე მოვლენები ასახოს, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა სიმტკიცის დარაჯად იდგეს, ქართველ ებრაელთა ისტორიის ფურცლები გამოამზეუროს, ჩვენი რწმენის საკითხების გარკვევა-გასიგრძელებასში დაეხმაროს ისრაელის გარეთ მცხოვრებ თანათემელებს. ალბათ, ზოგი რამ გამომჩნა, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ სხვანი შეავსებენ. ალბათ, იკითხავთ, ართმევს კი გაზეთი თავს ამდენი ამოცანის გადაწყვეტას? ღრმად მწამს, რომ პასუხი დადებითია და დასტური გახლავთ „მენორას“ მეო-

თხედსაუკუნოვანი გზა, რომელსაც იგი კვლავაც სახელოვნად აგრძელებს, მიუხედავად იმისა, რომ სიძნელეებსაც აწყდება. იუბილზე სიძნელეების ხსენება რა მოსატანია, მაგრამ სინამდვილეს ვერ გავექცევით. და გაზეთის ღირსებაც ის არის, რომ იგი, მისი რედაქტორისა და თანამდგომთა მეცადინეობით, პირნათელი რჩება მისი გამოსვლის მომლოდინე მკითხველთან. ნინა „მრგვალი“ იუბილეები (თხუთმეტი და ოცი წლისა) „მენორამ“ მისდამი მიძღვნილი კრებულებით აღნიშნა. ტრადიციას არ ეღალატება და იმედი გვაქვს, რომ გაზეთი ახლაც ასევე ხელდამშვენებული წარდგება მკითხველთა წინაშე და, ღვიის წყალობით, კიდევ ერთხელ საცნაური გახდება, რომ „ლეგიონია“ იმათი რიგში, ვისაც „მენორა“ უყვარს და აფასებს. ერთ-ერთ ნინა აბზაცში გაზეთის მისი განსაზღვრასთან დაკავშირებით ფაქტობრივად ჩამოვთვალე იმ მრავალფეროვან საკითხთან, რომელთაც „მენორა“ აშუქებს. მე თავს უფლებას ვერ მივცემ, რედაქტორის უფლება ვიკისრო და ანგარიში წარმოვადგინო, არც გაზეთში ამ ხნის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიებისა თუ ავტორების ჩამოთვლას ვაპირებ, რამდენადაც ეს მეტიმეტად სახიფათო იმიტომ, რომ შეიძლება ვინმე გამომჩნეს და, როგორც, ჩვენთან, ქუთაისში, „ზეითუნურად“ (ეს არც მეტი, არც ნაკლები, ქართველ ებრაელთა მეტყველებას ნიშნავს. - რამდენჯერ დავპირებ ბატონ გურამს მისი თხოვნის პასუხად, რომ ამ თემაზე ვრცელ წერილს გამოვაქვეყნებდი გაზეთში, მაგრამ ვერა და ვერ მოვაბი თავი. არადა უმეტესობამ არც იცის, რა ტერმინებს ვიყენებდით ჩვენ, ქართველი ებრაელები ან ქართველები ჩვენივე მეტყველების აღსანიშნავად.) იტყოდნენ, „მტრისას“, ვერ გადავურჩები მათს მრისხანებას. მე მხოლოდ მინდა ერთგვარად შემოვხაზო ის თემები, რომელთაც „მენორას“ თვალსაწიერი სწვდება. ერთი მთავართაგანი, რაც ჩემს ყურადღებას იპყრობს, გახლავთ ქართველ ებრაელთა მხატვრული ნაწარმოებებისა და თარგმანების ზომიერად და ამავდროულად გეგმაზომიერად წარმოჩენა. გაზეთი ვერ იკისრებს სალიტერატურო ჟურნალის ფუნქციას და ჭარბად ვერ გამოქვეყნებს მოთხრობებსა და ლექსებს, მას სხვა ამოცანები აქვს, მაგრამ ღირებულისა და ამა თუ იმ ნიშნით გამორჩეულის სამხეობაში გამოტანა ნამდვილად კი უნდა შეძლოს. და „მენორა“ თავისი მცირე ფორმატის ფარგლებში მშვენივრად ახერხებს ამას. როცა დავწერე, ამა თუ იმ ნიშნით გამორჩეული-მეთქი, იმასაც ვგულისხმობდი, რომ, იქნებ, ზოგჯერ ესა თუ ნაწარმოები განსაკუთრებული მხატვრული ღირსებებით აღბეჭდილი არ იყოს, მაგრამ თავისი პათოსით, ამა თუ იმ საჭირობოროტო საკითხთან მკითხველის პოეტურ-თხრობითი სა-




შუალებებით ზიარების თვალსაზრისით იყოს საინტერესო. სწორედ ასე ხდება ეს ჩვენს იუბილურ გაზეთში. ჩემი აზრით, „მენორას“ ზეამოცანა, საერთოდ, ებრაელობისა და მისი ერთი ღირსეული ნაწილის - ქართველი ებრაელობის - ყოველდღიურობის წარმოჩენაა. ვერც ამ მხრივ ვუსაყვედურებთ მას. გაზეთი, რაც უნდა გასაკვირი იყოს მისი პერიოდულობის პირობებში, ახერხებს გამოხემაუროს თითქმის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას ამ თვალსაზრისით და მკითხველს მიანოდოს თუ ამომწურავი ვერა, მოკლე ინფორმაცია მაინც. ლაპარაკია მსოფლიო ებრაელობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე სამსჯელოდ გამართულ შეკრება-თათბირებზეც, კულტურულ და სამეცნიერო მიღწევებზეც და ასე შემდეგ. ნამყვანი ადგილი ამ მხრივ, რა თქმა უნდა, უჭირავს ისრაელის ამბებს, მის საერთაშორისო თუ საშინაო მდგომარეობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. გაზეთი არც ჩვენი თემის საჭირობოროტო საკითხებს იგნორებს და ეხმაურება მათ საინფორმაციო მასალებითა და ვრცელი, ზოგჯერ პოლემიკური ხასიათის პუბლიცისტური წერილებით. რაკი სამეცნიერო მიღწევები ვახსენეთ, უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთი ხშირად აქვეყნებს ჩვენი თემის პრობლემეტიკისადმი მიძღვნილი კონფერენციების მიმოხილვას და არაიშვიათად თავის პირუთენელ აზრსაც გამოთქვამს მათთან დაკავშირებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდად საინტერესო ინტერვიუ-საუბრები ჩვენი თემის ნამყვან მეცნიერებთან. კარგია, რომ ეს უკანასკნელნიც არ აკლებენ ყურადღებას „მენორას“ და აქვეყნებენ მასში თავიანთი ახალი და აქტუალური გამოკვლევების საგანგებო ვარიანტს. გაზეთი ხშირად სწვდება ჩვენი მეცნიერების ისტორიის ფურცლებსაც და დროდადრო სამხეობაში გამოაქვს ცნობილი გამოკვლევებიც და მივინყვებულ და ნაკლებად განხილულ ნაშრომებიც, რომლებიც დღესაც დიდ ინტერესს აღძრავენ. არანაკლები ყურადღება ეთმობა ჩვენს კულტურას, ქართველი ებრაელობის როლს ებრაული, ქართული თუ ზოგადად საკაცობრიო კულტურის განვითარებაში. იქნებ, სირცხვილიც კია, მაგრამ არაიშვიათად „მენორას“ ფურცლებიდან ვიგებთ პირველად ჩვენი თანათემელების წარმატებათა შესახებ. „მენორა“ საქართველოში არსებული გაზეთთა და ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ იგი ქართველი და ებრაელი ხალხების საუკუნოვანი მეგობრობის მეზარახტრე და დამცველია. მის ფურცლებზე არაერთი სტატია ქვეყნდება, რომლებიც ამ მეგობრობის ნათელ მაგალითებს ავლენენ, ტოლერანტობის ჭეშმარიტი ნიმუშებს აცნობენ მკითხველს, მაგრამ გაზეთი არც იმას ერიდება, რომ ებრაელთა წინააღმდეგ ექსცესების იშვიათ შემთხვევებში ხმა აღიმალლოს და

პროფესორი რეზაინა ქაიხაძე (რუხინა ქაიხაძე)



### ბატონო გურამ, ბატონო კოტე!

გილოცავთ თქვენ და ყველა იმათ, ვინც ქმნიან საინტერესო გაზეთს — „მენორას“, სულიერების ხიდს საქართველოსა და ისრაელს შორის. იგი თავის მკითხველს აწვდის მასალებს ამ ორი ქვეყნის წარსულსა და აწმყოზე, აქვეყნებს ისეთ საინტერესო ცნობებს ორი ქვეყნის ურთიერთობაზე, რომლებიც სხვა გზით ნაკლებად, ან საერთოდ მიუწვდომელია ჩვეულებრივი მკითხველისათვის. მისი საშუალებით ვეცნობით ისრაელში მოღვაწე ქართველი ებრაელების ადგილს ისრაელის პოლიტიკურ ასპარეზზე, ლიტერატურულ ცხოვრებაში და შემოქმედების სხვადასხვა სფეროში. ამ გაზეთის ფურცლებზე ვეცნობით საინტერესო ადამიანების ცხოვრებასა და მოღვაწეობას.



იმ დიდი ინტერესის გამო რომელიც არსებობს საქართველოში ისრაელის მიმართ და ისრაელში საქართველოს მიმართ, „მენორას“ გავრცელების უფრო ფართე არეალი უნდა ჰქონდეს.

გაზეთ „მენორას“ ვულოცავ დაბადებიდან 25 წლისთავს, ვუსურვებ გაძლიერებას და წინსვლას.

**ელდარ მაისისვალიშვილი**  
პროფესორი,  
გორი, 21. 02. 2018.

### ოცდახუთწლოვანი იუბილარი

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ თავისი არსებობის ოცდახუთი წლის განმავლობაში გაზეთი „მენორა“ ქართველ ებრაელებსთან დაკავშირებით მის ფურცლებზე გამოქვეყნებული მრავალფეროვანი მასალების გამო არა მარტო დღევანდელი მკითხველისთვის არის ქცეული ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერიოდულ გამოცემად, არამედ მას მომავალშიც ინტერესით გაეცნობიან ქართულ-ებრაული ურთიერთობით დაინტერესებული პირები. ამ გარემოებას არსებითად განაპირობებს ის ფაქტი, რომ გაზეთის თანამშრომლები, პირველ ყოვლისა კი მისი დამფუძნებელი და რედაქტორ-გამომცემელი, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გურამ ბათიაშვილი ამ ხნის განმავლობაში მიზანმიმართულად ქართველი ებრაელების ცხოვრების მატყინეს.



ყოველივე ამის გამო „მენორას“ არა მარტო საქართველოში ჰყავს მკითხველთა ფართო აუდიტორია, არამედ ისრაელშიც.

გაზეთმა „მენორამ“ წარმატებით განაგრძო ის ტრადიცია, რომელსაც საფუძველი საქართველოში პირველმა ქართულენოვანმა ებრაულმა გაზეთებმა: „ხმა ებრაელისამ“ და „მაკაველი“ ჩაუყარეს. როგორც ცნობილია, პირველი მათგანი 1918 წელს გამოდიოდა ქუთაისში, „მაკაველი“ კი 1924 წელს გამოიცა თბილისში. ორივე ამ გამოცემის საქმეში მაშინ განსაკუთრებული როლი შეასრულეს დავით და გერცელ ბაზოვებმა და ნათან ელიაშვილმა.

ამ დროიდან მოყოლებული გაზეთ „მენორას“ გამოცემამდე საქართველოში ქართველ ებრაელებს სხვა პერიოდული ორგანო აღარ ჰქონიათ. ოცდახუთი წლის წინათ დაარსებული ეს გაზეთი კი ამ ხნის განმავლობაში უწყვეტად გამოდის და არა მარტო საქართველოში წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ხანგრძლივად გამოშვებულ ქართულენოვან ებრაულ გაზეთს, არამედ ისრაელშიც.

„მენორას“ შემოქმედებით კოლექტივსა და მის რედაქტორ-გამომცემელს, ბატონ გურამ ბათიაშვილს მინდა გულითადად მივულოცო ეს საიუბილეო თარიღი და ვუსურვო კვლავაც წარმატებით გაეგრძელებინოთ მეოთხედი საუკუნის წინათ დაწყებული საქმე.

**ავთანდილ ნიკოლეიშვილი**  
პროფესორი



### გულითადი მოლოცვა ნიუ-იორკიდან

ებრაული გაზეთი საქართველოში „მენორა“ 25 წლისაა — ეს ხომ მთელი ეპოქაა. წრფელი მაღლიერებით მინდა მოგილოცოთ საიუბილეო თარიღი „მენორა“-ს დამფუძნებლებს, გამომცემლებს, რედაქტორს, ჟურნალისტებს, ყველას — ვინც აქტიური მონაწილეობა მიიღო გაზეთის წარმატებაში.

„მენორა“ ასოცირდება ისრაელის დიდებულ ისტორიასთან, 3000 წლის წინ აშენებულ სოლომონ მეფის ტაძართან, მის ბრწყინვალეობასთან. ის ჩამოსხმული იყო ხალასი ოქროს ერთიანი ზოდიდან, ზეთუნის წმინდა ზეთით ანთებული ასხივოსნებდა გარემოს...

თბილისში „მენორა“ 1993 წლიდან „ანთია“ ცნობილი მწერლის, საზოგადო მოღვაწის გურამ ბათიაშვილის ხელმძღვანელობით; მან აქტიურად შემოიკრიბა ქართველი და ებრაელი ხალხის ღირსეული წარმომადგენლები. გაზეთში საინტერესული იუდაიზმის შუქით და მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი.


ვუსურვებ შემდგომ შემოქმედებით წინსვლას „მენორა“-ს მთელ კოლექტივს და პირადად ბატონ გურამ ბათიაშვილს — იყო ესოდენ წარმატებული მწერალი, დრამატურგი, რამდენიმე საერთაშორისო ებრაული ორგანიზაციის აქტიური წევრი, მრავალი ეროვნული ღონისძიების ავტორი და მონაწილე, დიდებული ოჯახის პატრონი და კიდევ გამოხატო დრო, ენერჯია და 25 წელი გაუძღვე ამ პოპულარულ გაზეთს — ეს ადვილი როდია.

როგორც ერთ-ერთი დაინტერესებული მკითხველი, გულითად მაღლობას გიხდით ამ საამაყო მისიის შესრულებისთვის! მეგობრული სიყვარულით და პატივისცემით

**ნოდარ ფალაპი (პარლაგაშვილი)**  
25 თებერვალი, 2018 წ.  
ნიუ იორკი

### ოთხმოცდაათიანი წლებიდან დღემდე

მე კარგად მახსოვს ოთხმოცდაათიანი წლების რთული დღეები- ქურდობა, დაყაჩაღება, საფლავების შერყვნა, განურჩევლად რელიგიისა და წარმომავლობისა. ქუჩის ბაზრობებზე ქართველი ინტელექტუალის ჩამოლამებული სახეები, რომელიც საკუთარი ბიბლიოთეკის შესანიშნავ ფონდს კაპიკებში ჰყიდდა. არა შუქი, არა სინათლე გვირაბის გაღმა.



ქართველი ებრაელობა საშველს მხოლოდ „დროზე გავასწროს“ ფორმატში თუ ხედავდა. იცლებოდა თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, კულაში, სენაკი. სწორედ, იმ მძიმე დროს არსებულ სურეალისტურ გარემოცვაში, აბსურდული თეატრის კანონების მსგავსად, ქართულ საზოგადოებას მოველინა გაზეთი „მენორა“!! რომელიც გამართული ქართულით, დინჯად, საქმიანად, სრული ობიექტურობით, ზედმეტი ურავატრიოტობისა და დრამატიზირების გარეშე, ხანუქის მენორის შუქით განათებული, ფურიმის დღეებში ქართველ ებრაელობას მომავლის სასიკეთოდ შემობრუნების იმედს უნერგავდა, ქართველ ერს კი გაზაფხულის მობრძანებას ულოცავდა.

გნეალობდეთ ღმერთი! ასე ეწერა გაზეთის პირველ საფურცელ მოლოცვაში.

გაზეთ „მენორას“ მართლაც, რომ სწყალობდა ღმერთი!!

მას შემდეგ 25 წელმა გაიარა! გაზეთი ჩვენი ცხოვრების მემატყინედ იქცა. იქცა ხიდად საქართველოსა და ამოსულ ქართველ ებრაელობას შორის. იქცა სერიოზული ფიქრისა და საქმიანი პოლემიკის ნავთსაყუდლად. დრო განსჯის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გაზეთის წვლილი, მაგრამ მე უკვე დღეს მინდა, გულწრფელი მადლობა გადავუხადო რედაქციის ყველა წევრს, სპონსორებს და რესპონდენტებს, განსაკუთრებით კი ჩემს, 80 წლის სულით ახალგაზრდა გურამ ბათიაშვილს, რომელმაც შეუძლებელი შესძლო და მომავალ თაობებს შეუნახა ჩვენს მიერ განვლილი წარმოუდგენლად რთული ცხოვრების შესანიშნავი მატყინე.

ვთქვათ სიმართლე, იმ გაუსაძლის წლებში, 25 წლის წინ, ვინმე დაიჯერებდა, რომ გაზეთი „მენორა“ ასე დიდხანს და ასეთი წარტყატებით იარსებებდა?

აფერუმ თქვენ!!!  
120 წლამდე!!!

### იოსებ ბარდანაშვილი (კომპოზიტორი)

ბატონო გურამ! გაზეთი „მენორა“ საქართველოს ებრაული თემის განუყოფელი ნაწილია. ის ხომ ჩვენი ცხოვრების მატყინეა. საინტერესოდ ასახავს იმ ისტორიულ მოვლენებს, რაც ჩვენს თემში, საქართველოში და ყველა იმ ქვეყანაში ხდება, სადაც ჩვენი ხალხია გაფანტული. ქვეყნის გულსცემის გადმოცემა საჭირო და დასაფასებელი საქმიანობაა. რთულია, ობიექტურად შეაფასო ყველა საქება, თუ გაუთვალისწინებელი მოვლენა, დაუკავშირო ერთმანეთს ქვეყნის გაფანტვისა და მათი შეგროვების პერიოდები, მაგრამ გაზეთი წარმატებით ართმევს თავს წინააღმდეგობებს და ინარჩუნებს აქტუალობას.



ამის დასტური კი უკვე მეოთხედი საუკუნის გზაა. ცხოვრება გრძელდება და მჯერა, რომ ერის ისტორიის ახალი მოვლენები ისეთივე გულმოდგინებით და შემართებით აღინერება, როგორც ეს წლები მანძილზე დაუღალავი შრომით კეთდებოდა. თქვენი დევიზია იყოთ მოვლენათა შუაგულში.

გისურვებთ წარმატებებს მომავალ საინტერესო და დატვირთულ ცხოვრებაში.

### პატივისცემით, რაბი ავიმელეხ (ალექსანდრა) როზენბლათი



ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი ულოცავს გაზეთ „მენორას“ და მის მთავარ რედაქტორს, ბატონ გურამ ბათიაშვილს, გაზეთის 25 წლის იუბილეს და შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს მას.

**ელენე ბარკოვიჩი**



დამოუკიდებელ ებრაულ გაზეთს საქართველოში „მენორა“ და მის უცვლელ რედაქტორს გურამ ბათიაშვილს, ოცდამეხუთე გაზაფხულს ულოცავს საქართველოს ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრი „ხესედი ელიაჰუ“. როდესაც მედია სივრცეში გაზეთი „მენორა“ გამოჩნდა, (1993წლის მარტი) იმხანად ძნელი წარმოსადგენი იყო მისი გამოჩენაც და დამკვიდრებაც. მაგრამ, აი უკვე ოცდახუთი წელია გაზეთი აქტიურად ამუშავებს ქართველთა და ებრაელთა მეგობრობისა და ურთიერთობის ფაქტებს, გვაცნობს მრავალ გამოჩენილ ებრაელ მოღვაწეს, იხსენებს წარსულის ღვაწლმოსილ ადამიანებს, გვაცნობს პოლიტიკური, თუ ეკონომიური ცხოვრების სიახლეებს. გაზეთი ცდილობს, რომ დაძაბულ პოლიტიკურ სიტუაციაშიც შეინარჩუნოს ოქროს შუალედი და ემსახუროს საზოგადოების გამთლიანებას და გაჯანსაღებას. სწორედ ამიტომაც მას მკითხველი არასოდეს მოკლებია.



საქართველოს ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრის „ხესედი ელიაჰუ“-ს თანამშრომლები.

განსხვავებულ, დახვეწილ, ქართულენოვან ებრაულ გაზეთს „მენორას“ და მის მრავალ ერთგულ მკითხველს კვლავაც ახალ-ახალ წარმატებებს ვუსურვებთ.

ბატონ გურამ, მიიღეთ ჩემი გულწრფელი მილოცვა გაზეთ „მენორა“-ს სახელოვან იუბილესთან დაკავშირებით!!!


გაზეთი „მენორა“ აი უკვე 25 წელი არის საქართველოს ებრაელთა ცხოვრების მემატიანე - თითქმის არ ყოფილა არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა და ამბავი, მის ფურცლებზე არ ასახულიყოს.

მე კარგად მახსოვს თუ როგორ და რა პირობებში ხდებოდა მისი დაარსება და მისი პირველი ნაბიჯებიც. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ გაზეთი „მენორა“-ს არ ჰქონია ია-ვარდებით მოგენილი გზა, ხშირად მის ფურცლებზე არაერთი ცხარე დისკუსია და კამათი გვინახავს. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ გაზეთი „მენორა“ არ ყოფილა უბრალოდ მოვლენების მხოლოდ აღმწერი, არამედ მას ყოველთვის ჰქონდა მკვეთრად გამოხატული თავისი პოზიცია - მის ფურცლებზე საქართველოს ებრაელთა ცხოვრების მაჯისცემა იგრძნობოდა!!!

ძვირფასო მეგობრებო გილოცავთ და გისურვებთ კვლავაც მთელი შემართებით გველოთ — საქართველოსთვის და ყველასთვის არაერთხელ გეხარებინოთ წარმატებები და წინსვლა!!!!

პატივისცემით,

**ფილსაზ (მალსაზ) ნანიკაშვილი**  
ბარ-ილანის უნივერსიტეტი, ისრაელი



ძვირფასო გურამ, უპირველეს ყოვლისა, გულითადად გილოცავ დაბადებიდან 80 წლისთავს !!! მახალ ტოვ, ად 120 - სრული ჯამრთელობით, ფარნასით, მრავალი სიხარულით და ბედნიერებით ქ-ნ ციალასთან, შვილებთან, შვილისშვილებთან და შვილთაშვილებთან ერთად, ამენ !!! სულ წარმატებული ყოფილიყავი როგორც პირად ცხოვრებაში, აგრეთვე შენს დაუმრეტელ შემოქმედებაში !!!



რუჰანე კაჰილოტი

ჩემო გურამ, შენი მრავალფეროვანი შემოქმედებითი მოღვაწეობით, ფაქტიურად, შენ გახდი ქართველ ებრაელთა ერთ-ერთი მემკვიდრე.

და შენი „მენორა“ აგერ უკვე 25 წელიწადია, რაც ავრცელებს ებრაული ყოფის და კულტურის შუქს მთელ მსოფლიოში, ღმ-თმა ქნას, რომ ეს ლამპარი არასოდეს არ ჩამქრალიყოს, ამენ !

გულოცავ გაზეთ „მენორას“ 25 წლის იუბილეს, ჩემი აზრით ძალიან მნიშვნელოვანია გალუთის პირობებში ებრაული გაზეთის არსებობა,საიდანაც ვიგებთ პირველ რიგში ისრაელის და ასევე სხვა და სხვა ქვეყნებში მცხოვრები ებრაელების სიახლეებს და რაც მთავარია, არის ამ გაზეთში თორის კუთხე, რომლის გარეშეც ისრაელი ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენელია.

გისურვებთ შემდგომ წარმატებებს და ძალიან მალე მთელი ისრაელი ერის გაერთიანებას.

**სალოცავ „ბეთ რახელის“ რაბინი „ოლამი ჯორჯიას“ დირექტორი აპარონ მდინარაძე**



დრო რა სწრაფად გადის „მენორას“ უსრულდება 25 წელი.გილოცავთ უპირველესად თქვენ და ყველა თანამშრომელს ვინც იდგა თქვენს გვერდით ამ წლების განმავლობაში.

მოგონება ამ გაზეთში მუშაობის თაობაზე ვრცელია, მაგრამ მოკლე მონახაზს გიგზავნი...

თბილისში სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის და მოსკოვში ასპირანტურის დამთავრების შემდგომ, 1987 წელს ვმუშაობდი არქიტექტორად, პარალელურად დავამთავრე ჟურნალისტიკის ფაკულტეტიც. 1995 წელს მამის და დედის გარდაცვალების შემდგომ მინდოდა წვლილი შემეტანა ებრაულ საქმონობაში და ამავე წელს მუშაობა დავინწყე ჟურნალისტიკაზე გაზეთ „მენორაში“, სადაც ვიმუშავე დაახლოებით ოთხი წელი. მოხარული ვარ, რომ ვიმუშავე „მენორას“ კოლექტივში თითქმის დასაწყისიდან. მუშაობის პერიოდში დიდი გამოცდილება მივიღე, როგორც ჟურნალისტიკა ისე გამოცდილი სპეციალისტთან, როგორც გაზეთის რედაქტორი გურამ ბათიაშვილი გახლავთ, ასევე გავეცანი უფრო ღრმად ებრაული თემის ცხოვრებას, და რაც მთავარია, ამავედროულად აქ იყო ჩემი მეორე ოჯახი ...

დღემდე არ შემინწყევტია თანამშრომლობა გაზეთთან სადაც პერიოდულად ვაგზავნი ინფორმაციას. გასახსენებელი ბევრია,იმედია კიდევ მრავალ წელს მივულოცავთ გაზეთ „მენორას“.

**მარიანა სოლომონიშვილი**



მინდა გაზეთ „მენორას“ და მის მთელ კოლექტივს მივულოცო 25 წლის იუბილე და ვუსურვო კიდევ მრავალი წელი ყოფილიყოს მსოფლიოს ქართველ ებრაელთა გზამკვლევი.

მიხარია, რომ „მენორას“ თანამშრომელი მქვია. ჩვენ, ყოველთვის ერთი ოჯახი ვიყავით — გაზეთის რედაქტორის, ბ-ნი გურამის დამსახურებით. გასახსენებელი ბევრია, მაგრამ ჩემი „მენორაში“ მუშაობიდან ერთ დღეს გავიხსენებ:

2002 წელს (თუ არ ვცდები) საქართველოს ცნობილი ბუხ-



არელი ებრაელი ბიზნესმენი და ქველმოქმედი ლევ ლევაევი ესტუმრა. მას ქართველ ებრაელთა დიასპორა დახვდა. ლევი ლევაევი საქართველოში არსებულ სხვადასხვა ებრაულ ორგანიზაციას ესტუმრა. რა თქმა უნდა, ყველგან ვახლდით მენორას თანამშრომლები თიკო თევზაძე „ვილნაუერი“ და მეც. გვსურდა ინტერვიუს ჩაწერა, მაგრამ ამის საშუალება არ მოგვცეს. გადავწყვიტეთ დღის ბოლოს, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრში დავეგმილ სალამოზე ჩავგვეწერა ბატონი ლევაევი, მაგრამ იქ უკვე მარტო, თიკოს გარეშე, წავიდე. ძალიან ვნერვიულობდი ახალი დაწყებული მქონდა მუშაობა და განსაკუთრებით მინდოდა თავის გამოჩენა.

ოპერა სავსე იყო დაცვის თანამშრომლებით, ყოველ ნაბიჯზე ისინი იდგნენ. ნერვიულად დავინწყე ლოდინი. ცოტა ხანში დარბაზის კარი გაიღო და ჯერ საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი ბ-ნი მიხეილ სააკაშვილი, შენდევ კი ბ-ნი ლევ ლევაევი შემოვიდა. მე ინსტიტურად წამოვხტი და მათკენ გავემართე, მაგრამ დაცვამ შემაჩერა. პრეზიდენტმა ეს დაინახა და დაცვას სთხოვა, გავეშვი. ფეხზე წამოვდგა, გადამეხვა და მომიკითხა. მე გავეცანი და ჩემი მისვლის მიზანი ვუთხარი, თან ვთხოვე მასაც ეთქვა ორიოდე სიტყვა. დამთანხმდა და ჩავწერე ბატონი პრეზიდენტიც და ბატონი ლევაევიც. ფოტოც გადავუღე და საკუთარი თავით კმაყოფილი წამოვედი.

იმდენად გულწრფელი მოკითხვა-საუბარი გვქონდა მე და პრეზიდენტს, რომ მაყურებელთ პრეზიდენტის ნათესავიც ვეგონე. ჩემთვის კი მთავარი იყო, რომ რედაქტორის დავალება პირნათლად შევასრულე.

**ნინო ლომია**

„მენორას“ რედაქციაში პირველად ჩემს მეგობარს, სვეტა დავითაშვილს მივყვე, ასე მითხრა, მწერალ გურამ ბათიაშვილს გაგაცნობო; ბატონი გურამის შეკითხვაზე, თუ რას ვაკეთებდი და ვინ ვიყავი, სვეტამ გასცა პასუხი; ხოდა, თუ აღმოსავლეთმცოდნეობა დამამთავრე და ებრაული ენაც კარგად იცი, არ გინდა, ებრაულ გაზეთში იმუშაო? მე ისრაელში ვაპირებდი წასვლას, სულ სხვა გეგმები მქონდა! ბ-ნმა გურამმა მითხრა, ნადი შენ ისრაელში და რომ ჩამოხვალ, ნახე, იქნებ, სხვანაირად გადაწყვიტო. ისრაელში წასვლა არ გამომივიდა (ვალღარებ, ჯერაც არ ვყოფილვარ ისრაელში!);

ეს ივლისის დასაწყისში იყო, ორ თვეში კი გამოვცხადდი ლეონიძის 11-ში, მეორე სართულზე.

შვიდი წლის განმავლობაში უამრავი გამოჩენილი ადამიანი გავიცანი, ჩვენი დაუღალავი რედაქტორისგან ბევრი ვისწავლე, ყველაზე მთავარი კი ხალხთან ურთიერთობა, შრომის სიყვარული და წინდახედულობა !

კარგად მახსოვს პირველი რესპოდენტი, ას წელს მიახლოებული ქალბატონი, რომელიც, სამწუხაროდ სტატიის გამოქვეყნებას ვერ მოუხსნო.. ვესაუბრე ებრაელი ერის საამაყო შვილებს, მათ შორისაა ჯოინთის წარმომადგენელი საქართველოში მეორე ზიზოვი (ზიხრონო ლევრანა!) საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი, რეჟისორი დობერ ქოსაშვილი, მთარგმნელი ჯემალ აჯიამილი... ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა თემის რაბინი აპაონ ხენი, „ჯოინთის“ წარმომადგენელი საქართველოში იაკობ ოფირი, ებრაული პოეზიის წრის ხელმძღვანელი ზაირა დავარაშვილი და სხვა უამრავი..

ვამაყობ იმით, რომ ამა და ამ გაზეთში კი არა, არამედ ვმუშაობდი საქართველოში ებრაული გაზეთ „მენორას“ რედაქციაში, რომელსაც ძველი ებრაული კალენდრით პირველ თვეში 25 წელი შეუსრულდა!



**თიკო თევზაძე**



გაზეთ "მენორას" 25 წელი უსრულდება. თითქმის 60 წლიანი პაუზის შემდეგ იგი საქართველოში ქართულ ენაზე გამოშვებული ებრაული გაზეთია, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის გაზეთის დამაარსებელსა და უცვლელ რედაქტორს ბატონ გურამ ბათიაშვილს და ორგანიზაცია "ჯოინთის" იმდროინდელ წარმომადგენელს კავკასიასა და საქართველოში, წარმომადგენელს ახალციხელ კაცს, ისრაელის მოქალაქეს ბატონ მენახემ ელაზარს. გაზეთი "მენორა" გამოირჩევა ინტელექტუალობით, საკითხების აქტუალობით და მათი სამართლიანი, ობიექტური ასახვით. იგი ფართოდაა ღია მკითხველებისათვის, რომელთა შორის ამ სტრიქონების ავტორიც არის, აზრისა და წერილების გამოსაქვეყნებლად. გაზეთი ვრცლად განიხილავს ებრაული თემის და მსოფლიო ებრაელობის აქტუალურ და მტკივნეულ საკითხებს.



ფულოცავთ გაზეთ "მენორას" დამაარსებლებსა და რედაქტორს გაზეთის 25 წლის იუბილეს და ვუსურვებთ გაზეთ "მენორას" ხანგრძლივ წარმატებულ არსებობას. ამავე დროს გაზეთის რედაქტორსა და მკითხველებს ვუსურვებ ჯანმრთელობას და წარმატებულ მოღვაწეობას ყველა სასიკეთო საქმეში!

პატივისცემით

**გომა დანიელი (გოსა დანიელაშვილი)**  
პროფესორი  
არიელის უნივერსიტეტი, ისრაელი

გაზეთი „მენორა“ – არის ისტორიული მნიშვნელობის გაზეთი. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ებრაული ხალხის მთლიანად და მათ შორის, ქართველ ებრაელთა ალორძინებისა და ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებულ პროცესებთან. გაზეთი, რომელიც ბრწყინვალედ და სრული სიმართლით ასახავს ებრაელთა და ქართველ ებრაელთა ყოფიერების მთელ ეპოქას. იმ ეპოქას, როდესაც ებრაელი ხალხი საქართველოდან და სხვა ქვეყნებიდან აიყარა და ისრაელში ან სხვაგან გადასახლდა. როდესაც ძველი სამყარო თანდათან მიდის, წარსულს ბარდება, სამუზეუმო, ისტორიული ხდება. და მის ადგილს ახალი იმკვიდრებს. გაზეთი ბრწყინვალედ ასახავს ებრაელი ხალხის ამ ტრანსფორმაციას, ახალ ცხოვრებას, მისთვის დამახასიათებელ სინტეზებსა და წარმატებებს, რომელიც ამ პროცესებთან არის დაკავშირებული, ებრაელი ხალხის კულტურასა და მის მემკვიდრეობის აღდგენას. სისტემატიურად აწვდის მკითხველს სწორ მარტულ ინფორმაციას ისრაელში მიმდინარე მოვლენებისა და საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ. გაზეთი თავისი შინაარსით, მასალების მომზადების კულტურით, დახვეწილი გემოვნებით ფურნალისტური ტრადიციის უმაღლეს დონეს შეესაბამება. და დამსახურებულად მოიპოვა მკითხველთა დიდი სიყვარული და სათანადო ორგანიზების აღიარება. გადაუჭერებულად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ქართული ებრაული კულტურის შესანიშნავი ბრწყინვალე მაგალითი.

ად მთა ვეესრიმ გაზეთის მთელ რედაქციას და მის ხელმძღვანელს ბატონ გურამ ბათიაშვილს!

პროფ. სიმონ სიმონიშვილი

## აშშ ებრაელთა კომიტეტის დელეგაცია თბილისში

26 თებერვლის საღამოს თბილისში ჩამოვიდა აშშ ებრაელთა კომიტეტის დელეგაცია.

თანამედროვე ებრაულ სამყაროში ამერიკის ებრაელთა კომიტეტი გახლავთ ერთ-ერთი ძლიერი და გავლენიანი ორგანიზაცია, რომელსაც ანგარიშს უწევს გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები. კომიტეტი ვაშინგტონში სისტემატურად მართავს წლიურ კრებებს, რომლის მუშაობაში მონაწილეობენ ამათუ იმ სახელმწიფოს პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები, საგარეო საქმეთა მინისტრები, გამოჩენილი რელიგიური, საზოგადო, თუ პოლიტიკური მოღვაწენი. ამ წლიური კრების მონაწილენი არაერთხელ ყოფილან საქართველოს ებრაელთა თემის წევრები.

აშშ ებრაელთა კომიტეტის დელეგაციის შემადგენლობაში გახლდნენ კომიტეტის მთავარი აღმასრულებელი დირექტორი **დევიდ ჰარისი**, კომიტეტის პრეზიდენტი **ჯონ შაპირო**, კოლუმბიის უნივერსიტეტის მედიცინის პროფესორი **შონი სილბერბერგი**, მოძრაობის აქტივისტი **გელ ბინდერმანი**, დევიდ ჰარისის თანამემხნე **შარლოტა ბილსკი**, „ჰუმან რაიჩის“ წარმომადგენელი **ნენსი პეტრეკ-კოპნი** და აშშ ებრაელთა კომიტეტის ყოფილი საბჭოთა კავშირისა და დსთ სახელმწიფოთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი **სემ კლიგერი**.

აშშ ებრაელთა კომიტეტის სტრუქტურა ასეთია: ამ ორგანიზაციაში, რომელიც არსებობის ხუთ ათეულ წელზე მეტს ითვლის, პრეზიდენტი წარმომადგენლობითი და ფინანსური ძალის მატარებელი ფიგურაა, კომიტეტის საქმიანობას წარმართავს აღმასრულებელი დირექტორი. დევიდ ჰარისი 1990 წლიდან ხელმძღვანელობს ებრაული სამყაროს ამ მეტად მნიშვნელოვან სტრუქტურას. „აშშ ებრაელთა კომიტეტს“.

ორიოდე სიტყვა დევიდ ჰარისის თაობაზე: დაამთავრა პენსილვანიის უნივერსიტეტი, საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში განათლების მიღება ჯერ ლონდონის ეკონომიკის უმაღლეს სკოლაზე და ოქსფორდის უნივერსიტეტში განაგრძო. შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობათა განხრით, ჯერ ჰოპკინსის უმაღლეს სკოლაში გაიარა სტაჟირება, მერე ოქსფორდის უნივერსიტეტის წმ. ანტონიოს სახ. კოლეჯის გამოკვლევათა ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი გახლდა.

დევიდ ჰარისის სტატიები ხშირად იბეჭდება „ჯერუზალემ პოსტში“, „ნიუ-იორკერში“, „ნიუ-იორკ თაიმსში“, „ვაშინგტონ პოსტში“, მსოფლიო ავტორიტეტის მქონე სხვა გამოცემებში. ამ სტატიებში იგი უმეტესწილად განიხილავს ახლო აღმოსავლეთში მიმ-

დინარე პროცესებს, ისრაელისა და არაბული სამყაროს ზოგიერთი სახელმწიფოს დაპირისპირების არსს.

### სამთავრობო შეხვედრა

27 თებერვლის დილით სტუმრები ეწვივნენ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს. აქ გამართულ საუბრებზე მათ მიიღეს საჭირო ინფორმაცია საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკურ-პოლიტიკურ ყოფაზე. საუბრის შემდეგ სტუმრები გაემგზავრნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან. საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრეს-ცენტრი ამერიკელ სტუმრებთან შეხვედრის თაობაზე ასეთ ინფორმაციას ავრცელებს:

*შეხვედრა ამერიკის ებრაელთა კომიტეტის დელეგაციასთან. საქართველო სამაგალითოა განხორციელებული რეფორმებით და დემოკრატიის კუთხით რეგიონში, - ამის შესახებ „ამერიკელ ებრაელთა კომიტეტის“ დელეგაციამ საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან დღეს გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.*

*საუბრისას, ხაზი გაესვა ქართველი და ებრაელი ხალხის 26-საუკუნოვან მეგობრობას და განსაკუთრებულ ურთიერთობებს.*

*დელეგაციამ, კომიტეტის მთავარი აღმასრულებელი დირექტორის, დევიდ ჰარისისა და კომიტეტის პრეზიდენტ ჯონ შაპიროს ხელმძღვანელობით, პოზიტიურად შეაფასა საქართველოსა და ისრაელს შორის არსებული კავშირები და გამოთქვა მზადყოფნა, ხელი შეუწყოს მათ შემდგომ გაღრმავებას.*

*აშშ-ში მოქმედი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ორგანიზაცია, რომელსაც სოლიდური, სტრატეგიული დონის კავშირები აქვს მრავალ ქვეყანაში, ასევე მზად არის საქართველოს მხარდაჭერისთვის, როგორც აშშ-თან ორმხრივ ურთიერთობებში, ისე - საერთაშორისო ორგანიზაციებში.*

*დელეგაციამ აღნიშნა, რომ მათი ინფორმაციით, აშშ-ის ადმინისტრაცია საქართველოს ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რაც მათთვის მისასალმებელი და სასიხარულოა.*

*შეხვედრისას საუბარი შეეხო საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით არსებულ გამოწვევებს და ოკუპაციის პრობლემას. გამოითქვა მწუხარება ცხინვალში, გაურკვეველ ვითარებაში საქართველოს მოქალაქის გარდაცვალების გამო.*

*ასევე, ყურადღება გამახვილდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე და ამ მიმართულებით საქართველოს*



მარჯვნიდან მარცხნივ: დავით ჰარისი, გურამ ლორთქიფანიძე, გურამ ბათიაშვილი, შონი სილბერბერგი, სემ კლიგერი.

*მთავრობის მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ ნაბიჯებზე. „ამერიკელ ებრაელთა კომიტეტმა“ დადებითად შეაფასა საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემო და გამოთქვა მზადყოფნა, ხელი შეუწყოს საქართველოს მეტი უცხოური ინვესტიციის მოზიდვის პროცესში.*

*დელეგაცია საქართველოს პარლამენტში შეხვდა ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერს არჩილ თალაკვაძეს.*

*დელეგაციის წევრები სასტუმრო „მერიოტში“ შეხვედნენ ისრაელის კონსულს საქართველოში **სმადარ ცემას რაცაძს**.*

### უნივერსიტეტში

სტუმრები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ შეხვედრას ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის რექტორთან **გიორგი შერვაშიძესთან** შეხვედრა დაგეგმილზე მეტ ხანს გაგრძელდა. რექტორმა ისაუბრა ამ უნივერსიტეტის მიერ განვლილ საუკუნოვან გზაზე, აღნიშნა ისწვლილი, რაც უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს შეუტანიათ და შეაქვეთ სახელმწიფოს მეცნიერების, სახალხო მეურნეობის, კულტურის განვითარების საქმეში.

უნივერსიტეტის ისრაელის კაბინეტის ხელმძღვანელმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტმა, პროფესორმა **გურამ ლორთქიფანიძემ** ისაუბრა ებრაელობის დამოკიდებულებაზე უნივერსიტეტისადმი--აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მშენებლობაში ებრაელთა ფინანსური წყაროც შემოედინებოდა, აქ ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის შუა ხანს

დაიწყო და კვლავაც გრძელდება ებრაული ენის შესწავლა.

თსუ-ს რექტორთან შეხვედრის შემდეგ დევიდ ჰარისი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების წინაშე წარსდგა ლექციით „აშშ საგარეო პოლიტიკის საკითხები“. დევიდ ჰარისმა ვრცლად და ერთობ საინტერესოდ ისაუბრა აშშ საგარეო პოლიტიკის თაობაზე. ყურადღება გაამახვილა აშშ-სა და ისრაელის ურთიერთობაზე. ხაზი გაუსვა იმას, თუ რა შეცდომები იქნა დაშვებული დემოკრატიული პარტიის ლიდერის ბარაკ ობამას მიმდინარეობისას და დღევანდელი თეთრი სახლი როგორ ცდილობს კონსტრუქციული გახადოს ისრაელ-პალესტინის მოლაპარაკება. ლექციის მიმდინარეობისას დევიდ ჰარისმა საქართველოს ებრაელობაზეც ისაუბრა--აღნიშნა, საბჭოთა კავშირიდან რეპატრაციის დაწყების საქმეში, თუ რაოდენ დიდი როლი ითამაშა 18 ქართველი ებრაელის წერილმა გაეროსადმი.

დევიდ ჰარისის ლექციამ პროფესორ მასწავლებლებისა და სტუდენტების ცხოველი ინტერესი დაბადა. მას დაუსვეს მთელი რიგი შეკითხვები--მასწავლებლები და მეგობრები ცდილობდნენ გაერკვიათ, პირველი პირისაგან გაეგოთ და უფრო ღრმად სცოდნოდათ ესათუის საკითხი.

### ჰალარა ქალაქის სიზლი

ებრაელთა კომიტეტის დელეგაცია თბილისის ძველ უბანს გაეცნო--სტუმრებმა ფეხით ჩაიარეს ძველი უბნის ქუჩები, შეათვალიერეს ბ-ნი ბიძინა ივანიშვილის მიერ ხელახლა აგებული საქართველოს ებრაელთა დ. ბაახოვის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, „ხაბადის“ ცენტრი, „ბეთ რახელი“--ამქენაზთა და ქართველ ებრაელთა ბეთ ქნესეთები და გაეპურნენ თბილისის ებრაელთა სათემო სახლისაკენ, სადაც კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის დირექტორმა **ელენე ბერკოვიჩმა** თავი მოუყარა დედაქალაქის ახალგაზრდა ებრაელთა ერთ ნაწილს.

### ჯაზო ჯივიაშვილის სინდრომი?

ებრაულ სახლში ამერიკელ სტუმრებს 20-25 თბილისელი ახალგაზრდა ებრაული სიმღერების პოპულარული შეხვედა. მთავარი და ჩვენი თემისათვის ერთობ მნიშვნელოვანი (სამაყოც კი!) შემდეგ დაიწყო: სტუმრებისა და ახალგაზრდების (უმეტესწილად სტუდენტები) პირდაპირი, უშუალო დიალოგი, რომელიც მხოლოდ ინგლისურ ენაზე მიმდინარეობდა. ახალგაზრდები ჯერ სტუმრებს წარუდგებოდ-

(დასასრული მე-8 გვერდზე)



# რას კპითხ ულობთ ამ კპირაში? რაბინის კუთხე



აპარონ მდინარაძე

შაბათ ჰაგადოლ

წერია თორის თავში "ცავ" - გადაეცი აპარონს და მის შვილებს შემდეგი დადგენილება: "მთლიანად დასაწვავი მსხვერპლის" - "ოლას" შესახებ: ეს მსხვერპლი უნდა იყოს ცეცხლზე მთელი ღამის განმავლობაში".

გვიხსნიან ჩვენი რაბები, რომ ეს მსხვერპლი გამოისყიდის ცოდვილ ფიქრებს, რომელიც ადამიანს მოსდის ღამის პერიოდში. ცნობილია რომ ეს მსხვერპლი არის ყველა სხვა მსხვერპლებზე მნიშვნელოვანი ამიტომ ქოჭენს არ ეკუთვნის მისგან წილი, სხვა მსხვერპლებისგან განსხვავებით და

ც  
ა  
კ

მას როგორც ავლნიშნეთ, მთლიანად წვავენ. ეს იმიტომ რომ მთლიანად დასაწვავი მსხვერპლი მოაქვთ ცოდვისთვის რომელიც ჩადენილი იყო ფიქრის დროს და რეალურად სხეულს (ტანს) მასში მონაწილეობა არ მიუღია და ამიტომაც არავინ არ უნდა მიიღოს სიამოვნება ამ მსხვერპლისგან.

ასევე ამ მსხვერპლის შეწირვის დროს ხდებოდა ბეთ-ჰამიკდაშის ერთ-ერთი სასწაული - სამსხვერპლო იყო გაკეთებული ხისგან, რომელიც მხოლოდ ზევიდან იყო დაფარული სპილენძით, მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლი ენთო მუდმივად - ხეს იგი არ ეკიდებოდა.

აქედან ვსწავლობთ, რომ ჰაშემი დასჯის რაშაყებს ჯოჯოხეთში, რადგან მათ არ მოიტანეს მსხვერპლი ცოდვისთვის გამოსასყიდად, ამიტომ მათ მუდმივად დაწვავენ ჯოჯოხეთში

ოლა - ივრითულად შეიძლება წავიკითხოთ ასევე როგორც "გაყოფილად" - ანუ ვინც თავის თავს მოამალავს და დაიწყებს სიამაყეს და ამპარტავნობას - საბოლოოდ მას დაწვავენ ცეცხლში ასე მოუვიდათ სადომ და ყამორას მცხოვრებლებს, ასევე დაისაჯენ ფარაონი და სანხერისი

მაგალითად მსგავსი ისტორია მოუვიდა ქოჭენ გადოლს - ისახარ ბენ ბარკაის

ის ძალიან უფრთხილდებოდა თავის პატივისცემას და მცხვერპლშენიერვის დროს იცმევდა აბრეშუმს ხელთათმანებს, რაც კანონით აკრძალულია ჰაშემში ის ამისთვის სასტიკად დასაჯა, ერთხელ მეფემ და დედოფალმა იკამათეს - რა უფრო გემრიელია - თხა თუ ხბო? მეფე იძახდა თხა უფრო გემრიელიაო, დედოფალი-ხბოო. დიდი კამათის შემდეგ გადაწყვიტეს კითხონ ქოჭენ გადოლს, რომელსაც მუდმივად მოაქვს მსხვერპლი დაუძახეს ისახარს და კითხეს: რომელია უკეთესი?

ისახარმა ანია ხელები ზევით და თქვა: თუ თხა არის უკეთესი რატომ არ მოაქვთ ის მსხვერპლად მუდმივად დილა-სალამოს? ხბო კი მოაქვთ მუდმივად-დილა-სალამოს.

მეფემ აღიარა- მართალი ხარ, მაგრამ რადგან შენ ხელები აწვი ზევით, როდესაც მე მელაპარაკებოდი, იმის მაგივრად რომ მოკრძალებულად

მდგარიყავი, ამით მომაცანე შეურაცხყოფა და იმსახურებ მარჯვენა ხელის მოჭრასო.

ისახარ ბენ ბარკაიმ მოისყიდა ჯალათი და მას მოაჭრეს მარცხენა ხელი,გაიგო ეს მეფემ და ბრძანა მარჯვენაც მოაჭერთო.

თქვა რავ იოსეფმა - "კურთხეულია ჰაშემი რომ დასაჯა ისახარი ამ სამყაროში და არა მომავალ სამყაროში".

აქედან უნდა ვისწავლოთ რომ როდესაც ვასრულებთ მიცევებს პირველ რიგში უნდა ვფიქრობდეთ ჰაშემის პატივისცემაზე და არ ვფიქრობდეთ ჩვენ თავზე, ეს იქიდანაც ჩანს რომ ქოჭენ გადოლ იცმევდა თავის სპეციალურ ტანსაცმელს როგორც მსხვერპლის მოტანის ასევე ნაცარის მომწმენდის დროსაც,რომელის რჩებოდა მსხვერპლის დაწვის შემდეგ.

ამ წელს "ცავ" არის ასევე შაბათ ჰაგადოლ - დიდი შაბათი-ეს დაკავშირებულია ეგვიპტიდან (მიცრაიმიდან) გამოსვლასთან - ბოლო შაბათს, როდესაც ისრაელები იყვნენ მიცრაიმში მოხდა დიდი სასწაული - ყველა ებრაულ სახლში მოიყვანეს ცხვარი და მიაბეს და როდესაც ეგვიპტელები ეკითხებოდნენ რათ გინდათო? და იგებდნენ რომ ცხოველი რომელსაც ისინი ეთაყვანებოდნენ -ისრაელს უნდა დაეკლათ,ძალიან ბრაზდებოდნენ, მაგრამ ვერაფერს ვერ უშვრებოდნენ ებრაელებს.

მიდრამი გვადლევს სხვა ახსნასაც - როდესაც პირველშობილებმა გაიგეს, რომ ისრაელებს მოაქვთ მსხვერპლი ჰაშემთან და უნდა სთხოვონ მას პირველშობილების განადგურება, მაშინვე გაქიცნენ ფარაონთან, საშველად და სათხოვნელად რომ მალე გაუშვან ებრაელები, მაგრამ ფარაონის კარზე ბევრი იყო ამის წინააღმდეგი და მათ დაიწყეს აჯანყება, რის შედეგადაც დაიღუპა ბევრი ეგვიპტელი.

ასე რომ ვიყოთ ჰაშემის არმიამი და ვემსახუროთ მას სინმინდემი და ჰაშემი თვითონ დაგვიამრცხებს ჩვენ მტრებს.

შაბათ ჰაგადოლ შალომ და ფესახ ქაშერ ვესამეას

# დიდი საჯამათო კრება

ვინც სოციალურ მედიას თვალს ადევნებს, იცის, რომ ინტერნეტში ქვეყნდება „ისრაელის სახლის“ თანამშრომლის, გიორგი ბერნშტეინის მწვავე გამოხმაურებები ჩვენი ებრაული თემის მჭიდრო პერსონების მისამართით. ცალკეულ ჩვენს ცნობად სახეთა გარდა, ბერნშტეინმა მწვავე კრიტიკა სინაგოგას და მის თავკაცსაც არ დააკლო. ეს ფაქტი ჯამაათში თავად გაბაიმ პირადად გაასაჯაროვა და საილუსტრაციოდ ინტერნეტიდან ამობეჭდილი პუბლიკაციები მოიხმო. მომდევნო პარასკევს სალოცავში იციკ მოშესა და გიორგი ბერნშტეინთან ზემოაღნიშნულით აღმფოთებულ ჯამაათის წევრთა სიტყვიერი შელაპარაკება მოხდა. შედეგად, ერთი კვირის შემდგომ, მოცაე შაბათს, სალამოს 8 საათზე სათემო კრება დაინიშნა, რომელსაც 150 ებრაელი დაესწრო - ქალბატონებიც და ბატონებიც.



გოგების იურიდიულად გაფორმება-დაკანონება, ცალკეულ უძრავ ქონებათა გამოსყიდვის უზრუნველყოფა, მიწის ნაკვეთების შემომატება. ამ საქმეში ხელშეწყობისთვის მეტად მაღლიერნი არიან შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების. აღინიშნა, რომ პრობლემა არ აქვთ კომუნალური გადასახადებისა და ხელფასების გადახდის სფეროში; რომ ხახამ ყიმიანუელის ყოფილი სახლის გამოსყიდვის შედეგად სალოცავის ტერიტორიაზე სამომავლოდ იგეგმება სტუმრად ჩამოსულ სასულიერო პირთათვის ორსართულიანი სასტუმროს აშენება; რომ სალოცავის ხელმძღვანელობამ და ებრაელთა კავშირმა შესძლეს ბათუმში ძველი, დანგრეული სინაგოგის ტერიტორიის დაბრუნება. სამომავლოდ კი იქ ებრაული სახლის აშენება იგეგმება შესაბამისი ინფრასტრუქტურით: სამლოცველოთი, ქაშერი საზკვებით, სასტუმროთი და სხვა (ყველაფერის ჩამოთვლა შეუძლებელია).

ჯამაათის წევრებმა აუხსნეს, რომ მის მიერ შემოთავაზებული პირობები მეტად მოუქნელი აღმოჩნდა და ღონისძიებაზე დასწრების მსურველს გარკვეულ სირთულეს უქმნიდა.

გიორგი ბერნშტეინმა სალოცავის სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებზე სცადა ყურადღების გადატანა. აგრეთვე ინტერნეტიდან იმ გაგულისებულ ტურისტთა რეაქციაც მოიხმო, რომლებმაც სალოცავში არასათანადო ფორმით მისვლის გამო მორწმუნეთა გულისწყრომა დაიმსახურეს. ეს ყოველივე ბერნშტეინმა ტურისტულ ბუმზე დარტყმად მიიჩნია.

ჯამაათის წევრებმა უმწვავესად ირეაგირეს სალოცავისთვის დოტაციის თანხის მითვისების საკითხზე და კატეგორიულად მოითხოვეს მტკიცებულებათა წარმოდგენა. ბრალმძებლებმა დამამტკიცებელი ფაქტები და ვერც მოწმეები ვერ მოიხმეს. ებრაული თემის შეურაცხყოფილმა ფეისებმა სტუმრებს განმარტება მოსთხოვეს. საბოლოოდ, იციკ მოშემ განაცხადა, რომ საჭიროა ინფორმაციების უფრო მეტად გაცვლა-გამოცვლა ანუ „დეფიციტის გარღვევა“ და ჯამაათის წარმომადგენლები თავის ოფისში მიიწვია. გიორგი ბერნშტეინმა კი განაცხადა, რომ იგი თავისუფალი მოქალაქე და ჟურნალისტი და რომ მას წერას და აზრის გამოხატვას ვერავინ აუკრძალავს. საბოლოოდ, სინაგოგის ხაზანმა, რაბი რახამიმ მურდუხაშვილმა ყველას ურთიერთგაგების, ურთიერთპატივისცემისა და შალომისაკენ მოუწოდა.

კრება სპიკერმა, ებრაელთა კავშირის თავმჯდომარე ედუარდ პარლაგაშვილმა გახსნა. განუული მუშაობის თაობაზე საანგარიშო მოხსენებით სალოცავის გაბაი - მერაბ ჩანჩალაშვილი წარსდგა. მისი გამოსვლა ერთობ შთამბეჭდავი, მასშტაბური და მრავლისმომცველი გახლდათ. ითქვა, რომ სალოცავისა და საქართველოს ებრაელთა კავშირის მენეჯმენტის ყაირათიანი მართვის შედეგად თბილისის მთავარი სალოცავი წელში გაიმართა; რომ ხელმოკლე ებრაელები ყოველთვიურ, სისტემატიურ ფინანსურ დახმარებას იღებენ; რომ დღესასწაულებზე მათ ქაშერი პროდუქტების ნაკრები ურიგდებათ; რომ ყოველდღიურად სინაგოგის რესტორანი კომპლექსური სადლით უზრუნველყოფთ; რომ სალოცავი ჯერ ასე მყარად არ მდგარა ფეხზე და რომ იგი ყველა ებრაელის ნუგავში და საყრდენია; რომ კეთილმოეწყო და გაფართოვდა ებრაული სასაფლაოები; რომ უპატრონო მიცვალებულთა გაპატიოსნებას და დაკრძალვას მთლიანად სინაგოგა აგვარებს; რომ შეიქმნა ინტერნეტსაიტი, რომელიც ანბანურად სისტემატიზებულ მიცვალებულთა საფლავების ფოტოებს მოიცავს და მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მყოფ საქართველოდან გასულ ებრაელთა შთამომავლებს უპრობლემოდ შეუძლიათ თავიანთი წინაპრების სავანე მოიხილონ. ითქვა აგრეთვე, რომ სინაგოგის ხელმძღვანელობამ და ებრაელთა კავშირმა შესძლეს სინა-

საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნულმა ბრალმძებლებმა ვერ გაითვალისწინეს, ვერ გათვალეს, რომ საერთოდ რელიგია და კონკრეტულად სინაგოგა არ არის დემოკრატიული ინსტიტუცია. შესაბამისად, ეს ტაბუების, შეზღუდვების, აკრძალვების, შეკავებების სივრცე და ფორმატია. რომ ჯამაათი მეტად სენსიტიური, მგრძობიარე სემინტია. თუკი ფეისბუკი პიროვნულ კინკლაობებსა და თავდასხმებს იტანს, სინაგოგა ამას კატეგორიულად ვერ და არ აიტანს, რისი ნათელი მაგალითიც ეს კრება აღმოჩნდა. ჯამაათმა მტკიცე კონსოლიდირება წარმოაჩინა და საკუთარი რენომე მძაფრად დაიცვა. კატეგორიულად მოითხოვა, რომ ყველა პრობლემა თემის შიგნით გაირკვეს და გადაწყდეს.

მარინა გუზუაშვილი



# გილოცავთ, 31 მარტი — 7 აპრილი

## ეგვიპტელთა მონობიდან ებრაელთა განთავისუფლების დიდი დღესასწაული!



ნენ, აცნობდნენ თავს, თავთავიანთ მონოდებას, ინტერესთა სფეროს და ინყებოდა დიალოგი, რომელიც დროდადრო სტუმრებისა და ახალი თაობის ებრაელების კამათშიც კი გადაიზრდებოდა. თბილისელმა ახალგაზრდა ებრაელებმა გამოავლინეს ცოდნა, ნივნიერება, პროფესიონალიზმისაკენ სწრაფვა, რომელიც ალბათ, მიუწვდომელი გახლავთ უფროსი თაობის იმ მოძალადე ადამიანებისათვის, თავი ჯამათის ბედის გამგებლად რომ დაინიშნეს და მტრობის, დაპირისპირების ამყარებულ ჭაობში ჩაფლულან. აქ კი, ებრაულ სახლში შეკრებილ ახალგაზრდებში, ესენი ზემოთხსენებული ფონდის ეგვიპტე მომუშავე სხვადასხვა წრეში არიან გაერთიანებულნი, იმდენად თვალსაჩინო გახლდათ ასაკისათვის შესაფერისი მათი განათლება, კამათის კულტურა, ცოდნისაკენ მისწრაფება, რომ ამერიკელი სტუმრები მოხიბლული დარჩნენ. შვიდკაციანი დელეგაციის წევრთაგან არცერთი არ დარჩენილა, რომ ახალგაზრდებთან დიალოგის სურვილი არ გასჩენოდა და ებმებოდნენ კიდევ კამათში. საუბარი კი შეეხებოდა საქართველოში ებრაელთა ყოფას, განათლებას, ასომილაციას, ანტისემიტიზმს, ცხოვრების მომავალი გზის არჩევის საკითხებს. ახალგაზრდებს აშშ-ში განათლების მიღება-გაგრძელების პერსპექტივაც აინტერესებდათ.

შეხვედრის დასასრულს სემ კლიგერი კმაყოფილი ამბობდა:  
— არ შევცდით, პროგრამაში სწორედ ახალგაზრდებთან შეხვე-

დრა რომ შევიტანეთ. ჩვენ გვინტერესებს გავიგოთ, თუ როგორ იქნება საქართველოს ებრაელობა ხუთი-ათი წლის შემდეგ. ახლა უკვე თითქმის ვიცით, თუ როგორ იქნება საქართველოს ებრაელობა მომავალში.

დიახ, სტუმრებმა ამ ახალგაზრდების მეოხებით ქართველ ებრაელთა პერსპექტივა მიახლოებით მაინც დაინახეს, მაგრამ...

ა) ამ ახალგაზრდების წინაშე დღეს დიდი პერსპექტივებია. სტუმრების გაციკროვნებული სახეები გვარწმუნებდა, რომ ამ გოგო-ბიჭებს ბევრ ქვეყანაში და უწინარესად, აშშ-ში, ჩაიკრავენ გულში--ბევრგან მისცემენ განათლების გაღრმავების, პროფესიული დაოსტატების,ოჯახის შექმნისაც კი, საშუალებას. ამათგან რამდენი დარჩება საქართველოში, რამდენი ისურვებს აქ განაგრძოს ცხოვრება?

ბ) ამ თაობაშიც ხომ არსებობს იმის საშიშროება, რომ ისევე გამოჩნდებიან ყბედი მოძალადენი, ერთგვარი მოდერნიზებული ჯაყო ჯივაშვილები. რომლებიც სამთავრობო წრეებთან სიახლოვის მეოხებით ამათ „ნაჩაღნიკობას“ მოინდომებენ და „აბა, ტაში, ტაშის!“ ძახილით, ადამიანებს გააბრიყვებენ. და ესენიც ასევე გაუყურდებიან ამ ამაზრზენ მდგომარეობას--მოძალადეს გაუღიმებენ, გულში კი გავილებენ „რა ჩემი საქმეა, მე რატომ გავფერიო?“

მომდევნო დღით ამერიკელი სტუმრები კიევში გაემგზავრნენ, იქიდან მინსკში, მერე კი-ლონდონს.

### ლამარა სეფიაშვილი-ხუხაშვილისა

ნიუ-იორკში გარდაცვალა ცნობილი მწერლის — გიორგი (გიგლა) ხუხაშვილის მეუღლე ლამარა სეფიაშვილი-ხუხაშვილისა.


თუ ვინმეზე ითქმის, რომ იყო მეუღლის ჭეშმარიტი თანამდგომი და მეგობარი, ხარობდა თავისი მეუღლის ფენომენით, უწინარესად, ითქმის ლამარა სეფიაშვილზე. იგი ცხოვრობდა თავისი მეუღლის ინტერესებით, უხაროდა მისი ყოველი შემოქმედებითი ნარმატება, რადგან მასში თავისი ადამიანური თანადგომის წვლილიც ედო და სტკიოდა, მძაფრად განიცდიდა მეუღლის ყოველ სატკივარს. მწერლის ცხოვრებაში კი სატკივარს რა გამოლევს! გიგლა ხუხაშვილს, ამ შესანიშნავ ორატორს, კრიტიკოსსა და დრამატურგს, ჰქონდა შემოქმედებითი აღმავლობის ჩინებული წლები, როცა ლამარასა და გიგლას ოჯახი მხნედ ეწეოდა ცხოვრების ჭაპანს. მათი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა უფროსი ვაჟის, ყველასათვის საყვარელი დათოს, როგორც ლამარა და გიგლა ეძახდნენ, დათუნას გარდაცვალებამ.. ამის შემდეგ ლამარა და გიგლა ერთმანეთს ამაგრებდნენ, მაგრამ...

დიდებულ ებრაულ, იოხა და გერშონ სეფიაშვილების, ოჯახში აღზრდილი ლამარა გამოირჩეოდა უშუალოებით, დაურიდალი პირდაპირობით. არაერთხელ ვყოფილვარ მონმე, თუ როგორ დაუცავს ერთობ რბილი, დამთმობი ბუნების მეუღლის ღირსება, ინტერესები. გიგლა მეუღლის ლიტერატურულ გემოვნებასაც ენდობოდა და ითვალისწინებდა. ეს იმიტომ რომ ლამარა, მისი ძმის — ოთარისამებრ შორსგახედული პიროვნება გახლდათ.

სავალალოა, რომ დამთავრდა ერთი კარგი ოჯახის შემქმნელი წყვილის ცხოვრება, მაგრამ დარჩნენ შვილი — მერაბი, შვილიშვილები, შვილთაშვილებიც კი, რომლებიც მჯერა, ყველაფერს იღონებენ ლამარასა და გიგლას ხსოვნის შესანახად.



გურამ ბათიაშვილი

<p><b>დაგეგმვა და გამომცემელი:</b> გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე თბილისი, ლეონიძის 11<sup>ბ</sup>, ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57</p>	<p><b>რეგისტრირებულია</b> ქ. თბილისის ათაშინდის რაიონის სასამართლოს შიპრ. რეგისტრაციის № 4/1-921</p>	<p><b>რედაქტორი</b> გურამ ბათიაშვილი ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 8-557  9771987898003</p>
--	--	--